ክብሩ ዘሚካኤል

ቅዱስ ገብርኤል ኀያሉ ሠራዊት

F 89.722
3

ლელა გაბური

გუგუმანა კლდის ამბავი

თბილისი
2006

იბეჭდება ფშავ – ხევსურეთის
ეპისკოპოსის **მეუფე თადეოზის**
ლოცვა–კურთხევით

K262.280

რედაქტორი: ამირან არაბული
მხატვარი: თენგიზ მირზაშვილი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუგუმანა კლდის ამბავი

ციცია და ციცისკუდა

ეძღვნება ცნობილი დასტაქრის
მგელიკა ლიქოკელის ხსოვნას

ციცია ჯერ ოთხი წლისაც არ იქნებოდა, სოფლის საფიხვნოში მართა ბებოს სიტყვა რომ ჩამოართვა და ჰკითხა, ეგ, როდის იყო, ბებო, მე რომ პატარა ვიყავიო?

სად იყო სიცილი.

ქალებმა სულ იქით-აქეთ აქნიეს თავები: დიდის თავგზის ქალაი გაიზრდებაო.

როშკა ისეთი სოფელი იყო, მხოლოდ ზღაპრებში რომ შეგხვდებათ: ბუმბერაზი მთებით გარშემორტყმული და ნაირფერი ყვავილებით მოჩითული. წინ სამი მდინარე ჩამოუდიოდა - ფონთანა, შუალა მდინარე და ტბის წყალი. ამ მდინარეს ტბის წყალი იმიტომ ერქვა, რომ სათავეს მყინვარის ძირში მდებარე აბუდელაურის ტბებიდან იღებდა. მთელი ეს ხეობა კლდეებით იყო მოფენილი. ამბობდნენ, კოპალამ და დევებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ამ ტბებთან გამართეს და კლდეები , ის დევებია, რომლებსაც კოპალამ ლახტი დაჰკრა და ქვად აქციაო.

აი, ასეთ ამბებს გაიგონებდით ამ სოფელში.

როშკა ზღაპრულ სოფელს სხვა რამითაც ჰგავდა: თუკი ქალაქში ადრიანად ასადგომად მაღვიძარა და დიდი ამბავია საჭირო, აქ მამლაყინწას ერთი დაყივლება და მთელი სოფელი, დიდიან-პატარიანად , ფეხზე იყო.

ნეტავ გენახათ, როგორ დარბაისელი ქალებივით დადიოდნენ ამ სოფლის პატარა გოგონები: ზოგი საძოვარზე ხბოებს მიდენიდა, ზოგიც ძროხას მიუცუცქდებოდა და პაწია თითებით წველას სწავლობდა.

- ბებო, შენ ვინ გაღვიძებს ასე ადრიანად? - ჰკითხა ერთხელ ციციამ მართა ბებოს.
- ცისპირი რომ ტყდება, თვითონ მეღვიძება, ბებო.
- ცისპირი რომ ტყდება?
- ჰო.
- როგორ ტყდება ცისპირი, ცას პირი აქვს? - სულ გაუდიდდა ციციას დიდრონი, შავი თვალები.
- ცისპირი ლურჯად ტყდება, ჩემო თვალის სინათევ, ღამის სიბნელეს ცაზე ლურჯი ფერი რომ შეერევა, აი, იმას ჰქვია, - აუხსნა ბებომ.

ერთ დილას ბებომ ციცია ადრიანად გააღვიძა და უთხრა, დღეს ქვენუბნელი მგელიკა უნდა მოვინახულოთ.

ციცია სიხარულით ცას ეწია.

მას დიდი ხანია უნდოდა მგელიკა პაპას გაცნობა, რადგან ბავშვები მასზე ათასგვარ

ამბებს ყვებოდნენ. მგელიკამ კარგად იცოდა ყველა ყვავილის, ხისა თუ ბუჩქის სახელი და მათი სასარგებლო თუ საზიანო თვისება. სოფელში თუ ვინმე ავად გახდებოდა, უმალ მას მიაკითხავდნენ.

მოხუცმა სტუმრები გრილ ჭერხოში შეიპატიჟა. კუთხეში ძველი, დაჭრელებული კიდობანი იდგა. ციციას კიდობანი მართა ბებოსთანაც ენახა და იმასაც ხშირად შესწრებია, წისქვილიდან მოტანილ საფქვავს შიგ რომ ყრიდა. კიდობნის გასწვრივ, კედელზე სპილენძის მოზრდილი ვარცლი ეკიდა, შუაგულ ჭერხოში კი - სადღვებელი. ეს რაც იცნო და იცოდა ჩვენმა ციციამ.

მაგრამ რაც არ იცოდა?

ოჰ, ამის გარდა რამდენი საინტერესო რამე იყო მგელიკა პაპას გამურულ ჭერხოში და რამდენი სათამაშო გამოვიდოდა მათგან.

სანამ ციცია ოცნებობდა, მგელიკა პაპამ ტყავის აბგა მხარზე მოიგდო და ბებო წინგარდაზე გამოაცილა, თან ციციას თბილად უღიმოდა, თითქოს მის ფიქრებს კითხულობსო.

- მართავ, ბალახები მაქვს მოსარჩევი, წიფლიანისკენ მივალ და თუგინდ გამოუშვი ეს კუდრაჭა, - თქვა მან და უფრო თბილად გაიღიმა.

  სანამ მართა ბებო ,,ჰო“ -ს ან ,,არა“ -ს იტყოდა , ცი ცა სიხარულისაგან უკვე ცეკვავდა. ცოტა ხანში კი მგელიკა პაპასთან ერთად წიფლიანის აღმართს მიუყვებოდა.

  ამ დღიდან მოყოლებული ტყეში ხშირად დადიოდნენ და მგელიკა პაპა ყოველდღე ახალ-ახალ ამბებს უყვებოდა - ადამიანებზე , ცხოველებზე, მცენარეებზე.

  ციციამ უკვე იცოდა, რომ მათ წინაპარს მცენარეების ენაც კი ესმოდა და ახლა იმაზე ოცნებობდა, რა იქნება, მეც მესმოდეს ყვავილების ენაო. კარგა ხანს მგელიკა პაპასაც ვერ უმხელდა თავის ოცნებას. ერთ დღეს კი ვეღარ მოითმინა და უთხრა:

- მგელიკა პაპა!
- ჰოო, პაპისავ! - გამოეხმიანა მოხუცი.
- ხომ შეიძლება, მეც გავიგონო ყვავილების ჩურჩული ? - ძლივს დაასრულა სათქმელი.

  - რად არა! - თქვა მგელიკამ. ციცია ხელჯოხზე ჩამოყრდნობილ მოხუცს დაკვირვებით დააცქერდა, მეხუმრება თუ მართლა მეუბნებაო.
- მაგრამ ჯერ კარგად უნდა გაიცნო და შეიყვარო ისინი, - ისე გააგრძელა მოხუცმა, ციციამ გაიფიქრა : ,,არ მეხუმრებაო“.
- მეც მინდიასავით დამელაპარაკებიან, მგელიკა პაპა? - ვერ ისვენებდა გოგონა.
- შენც, მაშ! მინდიაც შენფერა ბალღი იყო პატარაი.
- მე მომწყვიტე, მე მომწყვიტეო?
- მაშ!
- არა მე, არა მეო, მგელიკა პაპა?
- არა მე, არა მეო, მააშ! - კვერს უკრავდა მოხუცი თვალებაციმციმებულ ბავშვს.
- მომავალ კვირას დეკიანისკენ წავიდეთ, პაპავ, შენი სეხნია ყვავილი უნდა გაგაცნო, - უთხრა ერთ საღამოს მოხუცმა.
- ჩემი სეხნია? - გაუკვირდა ციციას.
- ჰო! შენ ხომ ციცია ხარ, ის კიდევ ციცისკუდაა...
- ციცია და ციცისკუდა! უჰ, რა კარგია! - ტაში შემოჰკრა გოგონამ.

- ციცისკუდა რის წამალია, მგელიკა პაპა?
- ჭრილობას ახორცებს! - აუხსნა მოხუცმა.

ციცია მოუთმენლად ელოდა მომავალი კვირის დადგომას. ერთი სული ჰქონდა, დეკიანისკენ როდის წავიდოდნენ და ციცისკუდას როდის გაიცნობდა. დღეებს კი არა, საათებსაც ითვლიდა. კვირა დღე კარზე იყო მომდგარი, მართა ბებო შინ შეწუხებული რომ დაბრუნდა და ცუდი ამბავი მოიტანა: მგელიკას ნაწვიმარზე ფეხი დასხლტომია და მოუტეხავსო.

-რას ამბობ, ბებო! - წამოიძახა ციციამ.

--ბეჩავი, როსღა შეუხორცდება, ან ლოგინში მწოლიარეს რა გააჩერებს , - ხელებს ასავსავებდა ბებო.

გოგონა ყურებს არ უჯერებდა და ყელში გაჩრილ ცრემლის ბურთს ძლივს იკავებდა. საღამოს ციციამ და მართა ბებომ კეცეულები დააცხვეს და ავადმყოფის მოსაკითხად ქვენუბნისკენ გაემართნენ.მთელი სოფელი მგელიკა პაპას წინგარდაზე მოქუჩებულიყო. ციცია მოხუცს საწოლთან მიუჯდა და ცრემლიანი თვალები მიაპყრო:

- ხომ მალე მოგირჩება, მგელიკა პაპა?! - ისეთი ხმით იკითხა, თითქოს ვიღაცას ემუდარებაო.
- მორჩება, მაშ, რას იზამს, პაპავ, აი, შენი სეხნია ბალახის მოკრეფაც რომ მოგვესწრო, უფრო იოლად მოვარჩენდი, - დანანებით თქვა მან.

ციციას დიდხანს აღარ უფიქრია, ადგილიდან წამოხტა და საწოლის ფეხზე ჩამოკიდებულ ტყავის აბგას ეცა:

- მე მოვიტან ციცისკუდას , მგელიკა პაპა, ეხლავე მოვიტან! - წამოიძახა და თვალისდახამხამებაში გარეთ გავარდა.
  აჟივჟივებული ბავშვები ანგარიშმიუცემლად გაედევნენ უკან.
  - სად მიხვალ, ქალშავავ, შენ ხომ ციცისკუდას არ იცნობ? - გასძახა მოხუცმა, მაგრამ ბავშვები უკვე ხიდზე გადარბოდნენ.
  ,,დამელაპარაკება, აუცილებლად დამელაპარაკება“, - თავს აიმედებდა გზაში ციცია და დეკიანისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა.
  ,,მე უკვე ისე შევიყვარე ყველა ხე და ბუჩქი, ისე შევიყვარე, რომ მეტი სიყვარული აღარც კი შეიძლება. თანაც მე ხომ მისი სეხნია ვარ?!..მგელიკა პაპამ ხომ თქვა: შენ ციცია ხარ, ის კიდევ ციცისკუდაო“ , - ესაუბრებოდა საკუთარ თავს.
  ზოგჯერ კი ეჭვიც გაჰკრავდა, რომ არ დამელაპარაკოს ან ვერ ვიცნოო? და შიშჩამდგარი თვალებით გადახედავდა მის ფეხდაფეხ ჟრიამულით მიმავალ ბავშვებს.
  ოჰ, როგორ არ უნდოდა თავის შერცხვენა.
  ცოტა ხანში ბავშვების თვალწინ მთელი ფერდობი ხელისგულივით გადაიშალა.
  ციცია შეჩერდა და მზის სხივებზე აელვარებულ ბალახებს სულგანაბული მიაჩერდა.
- --მართლა იცი? - ჰკითხა ერთმა გოგონამ
- - ხომ არ გვატყუებ? - შეეჭვდნენ სხვებიც.

მაგრამ ციციას მათი ხმა არ გაუგონია, რადგან მთელი გულისყური დეკიანისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

- ღმერთო, მაპოვნინე! - გაუელვა უცებ და ბუჩქებთან ჩაიმუხლა.

გული ლამის საგულედან ამოვარდნოდა.

უეცრად მოეჩვენა, რომ ერთი იისფერი ყვავილი მზეზე ცისარტყელასავით აელვარდა და მთელი ღეროთი მისკენ გადმოიხარა.

- მე ვარ ციცია! - ძლივს გასაგონად აღმოხდა გოგონას.

-მე კიდევ ციცისკუდა! - თითქოს მართლა დაიჩურჩულა იისფერმა ყვავილმა და ლამაზი ფოთლები ისევ ააელვარა.

ციციას ბევრი აღარ უფიქრია, ფეხზე წამოხტა და შესძახა:

- ბავშვებო, აქეთ!

აღტაცებულმა გოგო-ბიჭებმა მოირბინეს და იმ ბალახის შეგროვება დაიწყეს, რომელიც ციციამ აჩვენა.

***

მგელიკა პაპას სახლის წინგარდაზე მადლიერი თანასოფლელები ჯერ კიდევ ტრიალებდნენ - ვის პური გამოეცხო, ვის სარეცხი გაერეცხა, ვის შეშა დაეჩეხა.

ციციამ კიბეები სულმოუთქმელად აირბინა და ზღურბლთან შეჩერდა:

- ეს არის? მგელიკა პაპა, ხომ ეს არის ციცისკუდა?! - შესძახა მღელვარედ და მოეჩვენა , მთელი საუკუნე გავიდა, სანამ მგელიკა პაპა მობრუნდა და მის ხელისგულებზე დაფენილ ბალახებს შეხედა.

- ეს არის, პაპას ქალო, სწორედ ეს არის! - თქვა გაკვირვებულმა მოხუცმა და უფროსებს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, ეს როგორ მოხდაო.

***

დიდხანს, დიდხანს აღარ ჩამქრალა ციციას თვალებში ის მბრწყინავი მზე.

არც თქვენს თვალებში ჩაქრება, ჩემო პატარებო, თუ თქვენც წახვალთ ხევსურეთში და იმ ჯადოსნურ სოფელს მოინახულებთ, რომელსაც როშკა ჰქვია. თუ ისევე შეიყვარებთ ჩვენი სამშობლოს თითოეულ ხესა და ბუჩქს, როგორც ციციამ შეიყვარა.

ბიჭი ,სახელად ალუდა...

იმავე სოფელში კიდევ ერთი თმაქოჩორა ბიჭი ჩამოდიოდა. ალუდა ერქვა. ალუდას ერთი უცნაურობა სჭირდა, სხვა მხრივ კი არ იყო ცუდი ბიჭი. მაგალითად, თუ რომელიმე ბავშვი იტყოდა ,მოდით,ბავშვებო, შალშვობად* წავიდეთო, ალუდა აუცილებლად იტყოდა, რა სისულელეაო. ახლა სხვა იტყოდა: მოდით ფაფარენას წავიდეთ, ვეძაზეო. ზოგი ,,ჰო“-ს, ზოგი ,,არა“ -ს ,ალუდა კი იგივეს ამბობდა, რა სისულელეაო. ახლა მესამე ბავშვი წამოიძახებდა, -ჯურხა პაპას საბძელში კარგი სამალავებია და დამალ-დახუჭაობა ვითამაშოთო. რა სისულელეაო, - ისევ იტყოდა ალუდა. ბოლოს სათქმელი ყველას გამოელეოდა და, ცოტა არ იყოს, სათამაშო ნირიც წაუხდებოდათ.

მაშ, შენ თქვი, რა ვქნათო, განაწყენებულნი მიუბრუნდებოდნენ ალუდას.

ალუდა (როგორც ქალაქიდან სოფელში დასასვენებლად ჩასულ ბავშვებს სჩვევიათ) ყურადღებას შეიფერებდა და ბოლოს, ძალიან დინჯად, ერთერთი ბავშვის აზრს დაეთანხმებოდა.

ასე რომ ,ცოტა გაჭირვებით, მაგრამ თამაში მაინც იწყებოდა.

განსაკუთრებული მხიარულება ამ სოფელში ,,მარიამწმიდობას“ ანუ მარიამობის დღესასწაულზე იმართებოდა.

ამ დღეს ბავშვებისათვის ერთი სახალისო თამაში იყო დაწესებული.

ხევისბერის ნიშანზე ყველა ბავშვი ნახნავებში უნდა გაქცეულიყო და თითო ნაბდის ქუდი ხიფხოლა მოეგროვებინა. ხიფხოლა იგივე მიწის ვაშლი იყო, ოღონდ უფრო პატარა ზომის და ტკბილი.

რაკი მთაში ბევრი ხილი არ არის, ხიფხოლა ძალიან დაფასებული იყო და ბავშვებსაც უყვარდათ.

ვინც პირველი მოიტანდა ხიფხოლათი სავსე ქუდს, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

ხევისბერი მას ჯერ სადღესასწაულო ლუდს მიაწვდიდა და იქ შეკრებილ ხალხს დიდივით დაალოცვინებდა, მერე კი ტკბილეულით ასაჩუქრებდა.

ამ თამაშში თავის გამოჩენას განსაკუთრებით ბიჭები ცდილობდნენ.

---

* შალშვობად -(ხევს.) შალშავის (მოცვის) საკრეფად

იმ დღესაც ასე მოხდა.
ხევისბერი სალოცავიდან გამოვიდა და დღესასწაულის მონაწილეებს მიმართა:
- გაუმარჯოს დედა მარიამს! დედა მარიამი სწყალობდეს ჩვენს სოფელს,მადლი და ბარაქა დაუტანოს ხარის ნახნავსა და ფურის ნაწველს! მერე კი, ფერდობზე შეკრებილ, ყურებდაცქვეტილ ბავშვებს მიუბრუნდა, აბა, ბალღებო, ეხლა თქვენ იცითო!
ამ სიტყვებზე ბავშვები დაღმართზე დაეშვნენ და ნახნავებს შეესივნენ. ალუდა იდგა და ორ ცეცხლშუა იწვოდა: თან ეტყობოდა, ეს უცნაური თამაში მოეწონა და სურვილი ჰქონდა, ყველა ბიჭისთვის ეჯობნა, თან კი - ჩვეულებას ვერ ღალატობდა და , რა სისულელეაო, ფიქრობდა.
სანამ ალუდა ჭოჭმანობდა, დანარჩენი ბავშვები გამალებით თხრიდნენ ხიფხოლას და სულ მალე ღეჩოთ მიხას შუათანა ვაჟმა - გაგამ პირველი სავსე ქუდიც მოარბენინა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ცოტა ხანში ყველა ბავშვი ხიფხოლათი სავსე ნაბდის ქუდით დაბრუნდა.
ხევისბერმა გამარჯვებული ბიჭი ხალხს საზეიმოდ წარუდგინა და საქებარი სიტყვებიც არ დააკლო. შემდეგ ლუდით სავსე თასი მიაწოდა და ხალხს ანიშნა: სიჩუმე იყოს, ჩემპიონი ილოცებაო.
აი, მაშინ კი ალუდამ საბოლოოდ ინანა ამ არაჩვეულებრივი თამაშის გამოტოვება. დამნაშავესავით იდგა და თვალს ვერავის უსწორებდა.
- ალუდა, შენ რატომ არ წახვედი! - დაინტერესდა ვიღაც .
- შენ არ მოიტანე? - იკითხა ახლა სხვამ.
- - ჩემ პაპას ნაბდის ქუდ არ ჰქონდ და რა ჩემ ბრალი! - თავი იმართლა ალუდამ.
ბავშვებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.
უფროსებმა კი სიცილი დააყარეს.
- ვის არ აქვს ნაბდის ქუდ, შენ პაპა ჯურხასა? ჰი, ჰი !
ხომ გაგიგონიათ , ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო და ალუდამ ვერც კი შეამჩნია ზურგიდან როგორ მიუახლოვდა ჯურხა პაპა, რომელსაც იქ შეკრებილებს შორის ყველაზე ლამაზი ქუდი ეხურა და ყველაზე ლამაზი ჩოხა ეცვა.
- ნაბდის ქუდიც მაქვს და ხიფხოლაიან ყანებიც! - დამცინავი ღიმილით თქვა ჯურხა პაპამ, მარტო შვილიშვილ არ მყავს ჩემპიონ...
ალუდას ერჩივნა მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა.
ეს რა სისულელე ჩავიდინეო, გაიფიქრა.
იმ დღის მერე ეგ სიტყვა მისი პირიდან აღარავის გაუგონია.

თავთავადთვალა* ლურჯა

ისეთი ლამაზი ცხენი იმ სოფელში არავის ჰყავდა. ხავერდივით ბეწვი ჰქონდა: ლურჯი, ნაცრისფერი და თეთრი. ისე, რომ ზუსტად ვერც იტყოდით, ლურჯა რა ფერის იყო. თანაც იორღა. ერთი შეძახილი ჰყოფნიდა: ,,მიდი, ლურჯა!“ და ისე მირბოდა, გეგონება, მიწას ფეხს არ აკარებსო.
პატრონი ლურჯას მძიმე ბარგისთვისაც კი ვერ იმეტებდა. თუმცა, ბავშვებს გულს არასოდეს სწყვეტდა და როცა სთხოვდნენ ყოველთვის ატანდა. ფრთხილად იარეთ, არცად გადაიყარნათო, ამას კი აუცილებლად დაამატებდა.
ლურჯაზე ზრუნვას ბავშვებიც ეჩვეოდნენ.
საამისოდ კარგი დრო მაშინ დგებოდა, როცა მგელიკა პაპა იტყოდა, ბალღებო, ლურჯას ნალები დაუცვდა, არ დავჭედოთო?
ატყდებოდა ჟივჟავი და ალიაქოთი:
დავჭედოთ, მგელიკა პაპა, დავჭედოთო!
და ყველანი დათქმულ დროს მგელიკა პაპას ქაზდარში მოგროვდებოდნენ. ცხენის დაჭედვა არც ისე იოლი საქმე იყო.
ბავშვს ლურჯას მოხრილი წინა ფეხი იმდენ ხანს უნდა სჭეროდა, სანამ მოხუცი ნალს არ შეუცვლიდა. ეს კი საკმაოდ დამღლელი იყო.
დახმარების სურვილი ბევრს ჰქონდა,მაგრამ საამისოდ მგელიკა პაპა ყოველთვის თვითონ ირჩევდა უფრო მოზრდილ და გამოცდილ ბავშვს.სხვებს კი ისღა დარჩენოდათ, შორიახლო ეტრიალათ და რაიმე უფრო იოლი საქმე გამოენახათ.

ზოგი ჩაქუჩის, ლურსმნებისა და სხვა წვრილმანების მიტან-მოტანით დაკავდებოდა,ზოგი დუდრუყას მოიმარჯვებდა და ლურჯას ბზიკებს უგერიებდა (ისე, კაცმა რომ თქვას, ლურჯა ამას თვითონაც კარგად ახერხებდა გრძელი, შოლტივით კუდის წყალობით), ზოგი გოგონა ცხენს წინ დაუდგებოდა ,ოხშივარიან პირსა და ნესტოებზე ხელს მიადებდა და ამხნევებდა, ცოტაც მოითმინე, ლურჯა, ცოტაცო! (რა თქმა უნდა , ლურჯას სულიერად გამხნევებაც საქმე იყო) .

ნალების დაკვრას რომ მორჩებოდნენ, მგელიკა პაპა იტყოდა, ლურჯას მოშივდებოდა, ქერი არ ვაჭამოთო ?

---

* თავთავადი - (ხევს.) განსხვავებული, სხვადასხვანაირი

ისევ ატყდებოდა ჟივჟავი , ვაჭამოთ, ვაჭამოთო!

და რომელიმე ბავშვი თოფრის მოსატანად გაიქცეოდა. თოფრა პატარა, გრძელყურიანი ჯვალოს ტოპრაკი იყო, რომელშიც ქერს ყრიდნენ და ცხენს პირზე წამოაცვამდნენ.

საკმარისი იყო, ლურჯას თოფრით ხელში კალოსკენ მიმავალი ადამიანი დაენახა, უმალ ხვდებოდა ქერი მოაქვთო და განაბული, თავაწეული და ყურდაცქვეტილი იდგა, სანამ მიმავალი კალოში არ გაუჩინარდებოდა. მერე კი მოჰყვებოდა ცქმუტვასა და ხვიხვინს. ბავშვებს ძალიან მოსწონდათ ლურჯას ასეთი გონიერება.

ერთხელ ციციამ ლურჯას დიდხანს უყურა და წამოიძახა:

-მგელიკა პაპა, შეხედე, ლურჯას სხვადასხვანაირი თვალები აქვს!

მოხუცს არ გაჰკვირვებია.

- ჰო, პაპავ, თავთავადი*თვალები აქვს, - მიუგო მან.

- მარჯვენა თვალში თეთრი ვარსკვლავი აქვს, არა, მგელიკა პაპა? - ხარობდა თავისი აღმოჩენით ბავშვი.

- ჰო, აქვს, პაპავ, ჩვენი ლურჯა შეიძლება ნაწილიანიც არის , - თქვა მოხუცმა.

- ნაწილიანი რას ნიშნავს, მგელიკა პაპა? - გარს შემოეხვივნენ გაფაციცებული ბავშვები.

- ნაწილიანი? - მგელიკა პაპა ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს ფიქრობს, როგორ აუხსნასო.
- კარგი როა, პაპავ, სხვათაზე ბევრად კარგი, მაშინ იტყვიან კაცზეც და საქონზეც, ნაწილიანიო. ღმერთის წილია მეტი ეგეთაში, -თქვა ბოლოს.

ბავშვებმა მთლად კარგად ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა ეს, თუმცა თითოეულმა თავისებურად სცადა აეხსნა:

- ყველაზე კარგი იორღა რომ არის, მგელიკა პაპა? - თქვა გიგამ.
- ჰო, პაპავ, მაგაად.
- ყველაზე ლამაზი ბეწვი რომ აქვს?- დააზუსტა დათამ.
- მოხუცმა თავი დაუქნია.
- მარჯვენა თვალში ვარსკვლავი რომ აქვს? - დაამატა ახლა ციციამ.
- ჰო, პაპისებო, მაგაად იტყვიან, ნაწილიანივ. სიფრთხილე უნდა ეგეთას, ხიფათს იოლად გადაეყრების.

ბავშვები ისედაც ხომ თავს ევლებოდნენ ლურჯას და ამის შემდეგ ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ.

***

ზაფხულობით როშკაში საქონლის ფერმები ამოდიოდა.
სადგომი, სადაც რძეს ამუშავებდნენ და ყველს აკეთებდნენფაფარენას ჰქონდათ. მერე კი ყველი ბარისახოში მიჰქონდათ. რაკი სამანქანე გზა ხშირად გაფუჭებული იყო, როშკიდან ბარისახომდე ყველის ჩატანა ცხენებით უწევდათ. რასაც უმეტესად ბავშვები აკეთებდნენ.
ამაზე სასიამოვნო და სახალისო საქმე მათ ცხოვრებაში არ არსებობდა. განსაკუთრებით მოსწონდათ, როცა ყველს ჩააბარებდნენ და უკან ცარიელი ცხენებით ბრუნდებოდნენ.
აი, მაშინ იწყებოდა ჯირითი და მხიარულება.

ერთ დღეს ცხენი მართა ბებოსაც დასჭირდა. ლურჯა ჭანჭახში ება. ციცია ბევრს ეხვეწა ბებოს, ლურჯას მე მოვიყვანო, მაგრამ ბებო არ თანხმდებოდა, გადმოვარდებიო.

საბალახოდ მყოფი ცხენის მოყვანა პატარებისთვის ცოტა ძნელი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უნაგირი არ ედგა და უბელო ცხენზე ჯდომას მეტი გამოცდილება სჭირდებოდა. თანაც ცხენს გრძელი ჯაჭვით აბამდნენ,მისი ტარება და მართვა ერთდროულად ძნელი იყო.

- მიხათ ასმათი და მე წავალთ რა, ბებო, - ეხვეწებოდა ციცია.

ასმათი ციციაზე ცოტათი უფროსი იყო.
კარგა ხნის ჭოჭმანის მერე ბებო, როგორც იქნა, დათანხმდა.

გახარებულმა ბავშვებმა ბოტები ჩაიცვეს, ბამბაზიის ხალათებში ლურჯასათვის პურის ნატეხები ჩაიწყვეს და ჭანჭახისკენ გაიქცნენ. მართა კი ყველის ამოყვანის თადარიგს შეუდგა: რძიანი ბაკნებიდან ნაღები საზეურში გადაასხა. მერე ქვაბი შუაცეცხლზე შემოდგა და შეუკეთა.

მართამ კარგა ხანს იფუსფუსა.

ბავშვები კი იგვიანებდნენ.
შეფიქრიანებულმა დურბინდი მოიმარჯვა, გავხედავ, სად არიანო და შუშაბანდში გასული მოულოდნელობისაგან გაშრა.
კარებთან თავიდან ბოლომდე ტალახში ამოსვრილი და გაწუწული გოგონები იდგნენ.

- ეს რა ამბავია ჩემს თავს, ცხენმა გადმოგაგდოთ? - წამოიძახა შეშინებულმა ქალმა და ბავშვებისკენ გაიქცა, რომ დარწმუნებულიყო , საღ-სალამათები არიანო.

- ჰო, გადმოგვაგდო...არა, ჩვენ გადმოვვარდით! - თქვა ასმათმა დამნაშავესავით.

- ლურჯას ბრალი არ იყო, ბებო! - დაამატა ციციამ.

  მართა რაკი დარწმუნდა , რომ ბავშვებს არაფერი სჭირდათ , ცოტა დაწყნარდა .
- იცი, მართა ბებო, - დაიწყო მოყოლა ასმათმა, - ლურჯას წყალი სწყუროდა, ღელესთან რომ მივედით, წინა ფეხები წყალში ჩადგა და კისერი რომ დასწია...- გოგონას ეცინებოდა და თხრობა შეწყვიტა.
- ლურჯამ თავი რომ დახარა , ბებო, ჩვენ კისერზე ჩავსრიალდით და წყალში ჩავვარდით, - როგორც იქნა დააბოლოვა ამბის მოყოლა ციციამ.
- ვაი, ჩემს თავს, - ისევ ანერვიულდა ბებო, - მაშ, არაგვზე რომ დაელია წყალი, ხომ არაგვში ჩაიყრებოდით? ამის მემრ კი მე ვიცი, სადაც გაგიშვებთ, - გულს იოხებდა და ბავშვების დასაბანად ტაშტს ამზადებდა.

  ციციას და ასმათს თავიდანვე ეტყობოდატ, რომ მომხდარს უფრო მხიარულად უყურებდნენ ვიდრე ბებო, მაგრამ იმის შიშით , უარესად არ გავაჯავროთო , სიცილს ვერ ბედავდნენ. ეხლა კი, ბებო რომ დაწყნარდა, ჩუმად ხითხითს მოჰყვნენ.

  მომხდარი სხვა ბავშვებმაც გაიგეს და სათითაოდ მოიკრიბნენ. შემოაღებდნენ კარს და ლურჯას ხომ არაფერი შეემთხვაო, პირველად ამას კითხულობდნენ. ლურჯას არაფერი, ჩვენ კი შეგვემთხვა კარგი ამბავიო, -იცინოდნენ გოგონები.

  გარეთ კი ლურჯა იდგა და თავთავადი თვალებით ისიც იღიმებოდა. თითქოს ბავშვებს ეუბნებოდა, არ გეწყინოთ, ვიხუმრეო.

გუგუმანა კლდის ამბავი

ბავშვებს გუგუმანა კლდეზე შეკრება უყვარდათ. ეს კლდე ბევრი რამით იყო გამორჩეული.

ჯერ ერთი იმით, რომ სოფლის გაღმა, ზედ შარაგზაზე მდებარეობდა და მიმსვლელ-მომსვლელის დასასვენებლად მეტად მოსახერხებელი იყო.

ახვიდოდი კლდეზე და უეცრად ქვეყნიერების შუაგულში მოგეჩვენებოდა თავი: წინ სოფელი გადაგეშლებოდა ხელისგულივით -თავისი ბანებითა და შუშაბანდებით, უკან - დიდგორის მთა და ფაფარენას მინდორი,მარცხნივ - თოვლიანი ჭიუხები და მყინვარი სინდაურა, ხოლო მარჯვნივ, მთის კალთაზე მიყუჟული კიდევ ერთი სოფელი - ღული.

კლდეს, ცალ მხარეს, იოლად ასასვლელი საფეხურები და ბრტყელი, მოედანივით ზედაპირი ჰქონდა. მეორე მხარეს კი თანდათან მაღლდებოდა და ციცაბო წვეტს იკეთებდა.
უფრო თამამი და უშიშარი ბავშვები(ალბათ, თავიანთი უპირატესობის წარმოსაჩენად) სწორე ამ წვეროზე შემოსკუპდებოდნენ და ქვემოთ დარჩენილებს ამაყად ჩამოსცქეროდნენ.

გუგუმანა კლდეზე ხშირად დაინახავდით დურბინდმომარჯვებულ ადამიანს, რომელიც სოფლის შემოგარენს ათვალიერებდა. აქედან ყველაზე უკეთ ჩანდა, თუ რა ფუჭდებოდა და რა კეთდებოდა სოფელში : სად პური ცხვებოდა და სად საარაყე ქვაბი დუღდა, ვისი საქონელი ვის ყანაში გადადიოდა და ვისი ხბოები ვის სათიბს აფუჭებდნენ.

გუგუმანა კლდესთან კიდევ ერთი საინტერესო ამბავი იყო დაკავშირებული. თავთავისი ბებო-პაპებისგან ყველა ბავშვმა იცოდა, თუ რატომ ერქვა ამ კლდეს ,,გუგუმანა კლდე“.

უხსოვარ დროში კლდეს ერთი გუგული შესჩვევია. ყოველ წელიწადს , ზუსტად ერთსა და იმავე დროს მოფრინდებოდა, კლდის წვეროზე (სადაც ახლა ყოჩაღი ბავშვები სხდებიან) შემოჯდებოდა და ,,გუ-გუ“, ,,გუ-გუ“-ს ძახილს მოჰყვებოდა.

ძალიან შესჩვევია ეს გუგული ამ სოფელს და ეს სოფელი ამ გუგულს.
ისე შეჰყვარებიათ, რომ ყოველ ზაფხულს მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ.
ერთ მშვენიერ დღეს კი, როგორც ყველგან ხდება, აქაც გამოჩენილა ბოროტი ადამიანი და გუგული მოუკლავს. სოფელს ძალიან სწყენია საყვარელი ჩიტის სიკვდილი და მას შემდეგ ამ კლდისათვის ,,გუგუ მანაკლავი კლდე“ დაურქმევია, რაც ნიშნავს კლდეს, სადაც გუგული მოკლეს. დროთა განმავლობაში ეს გრძელი სახელი შემოკლებულა და ,,გუგუმანა კლდედ“ ქცეულა.

,,წინავ ისეთა ყოფილ სოფელ, ჩიტის სიკვდილსაც იხსომებდ, დღეს კი კაც კაცს აღარ ინდობს“, - სინანულით უთხრა ერთხელ მგელიკა პაპამ სამწყემსურში მყოფ გოგო-ბიჭებს.

რაც მართალია, მართალია, აქამდე ბავშვებს ამაზე არ უფიქრიათ . იმ დღიდან კი ჩაფიქრდნენ და გუგუმანა კლდეზეც თითქოს უფრო მოწიწებით დაიწყეს სიარული.

მართლაც, ბავშვებო! მთელ დედამიწაზე, როშკის გარდა,ძნელად თუ მოიპოვება სხვა სოფელი, სადაც ჩიტის სიკვდილი ანდრეზად* ჰქონდეთ შემონახული.

***ანდრეზი -წესად დასადები ზეპირგადმოცემა**

ეს ამბავი მეც საყურადღებოდ მომეჩვენა და ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის მოთხრობა დამეწერა.
გუგუმანა კლდე კი დღესაც იქ დგას და თქვენ გელოდებათ.
ვინ იცის იქნებ გუგულიც ისევ მოფრინდეს?!

სარჩევი

ციცია და ციციისკუდა..... 3

ბიჭი სახელად ალუდა.....15

თავთავადთვალა ლურჯა.....22

გუგუმანა კლდის ამბავი.....31